თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

რადგან მოგვეცი წყალი, ღმერთო, შეგვინყალე!

იხილეთ მე-2 გვ.

„ვიაროთ ერთად“–

„მიგრაციის ცენტრი“-ს ახალი პროექტი საქართველოში მყოფი უცხოელების ინტეგრაციის ხელშესაწყობად

იხილეთ მე-3 გვ.

№3 (783) 24 აპრილი, 2018 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

აქტიურ ტურისტულ სეზონს საქართველო კვლავ ძველი და მოუგვარებელი პრობლემებით ხვდება

ქვეყანაში ტურისტთა და ვიზიტორთა რაოდენობა დინამიურად იზრდება. ვხვდებით თუ არა მომზადებულები აქტიურ სეზონს?! პასუხი არის ცალსახად არა! – ასეთ შეფასებას აკეთებს ტურისტული კომპანია „რესთ ინ ჯორჯია“-ს ხელმძღვანელი, გამოცდილი გიდი და სოციალურ ქსელში ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ჯგუფის „ინფო გიდებისათვის“ ადმინისტრატორი, ლევან რევაზიშვილი.

თავის შეფასებას ლევანი კონკრეტული ფაქტებით ამყარებს და იმ პრობლემების მოკლე ჩამონათვალს აქვეყნებს ჯგუფში, რომელიც დღემდე მოუგვარებელია და ტურისტებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. აი, ეს ჩამონათვალიც:

1. საზოგადოებრივი ტუალეტები კვლავ არ არსებობს;

2. მთავარი გზების გასწვრივ ისევ ყრია ნაგავი, რაც ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს ქვეყანაზე! უნდა განხორციელდეს აქტიური პროპაგანდა ნაგვის დაყრის წინააღმდეგ ტელევიზიებით და დაიდგას ურნები, იქ სადაც ნაკლებობაა!

3. ტურისტების უსაფრთხოების პრობლემა კვლავ მოუგვარებელია! „ციგნები“ უკვე არამარტო ფულს თხოვენ, არამედ ხელით ეხებიან და ფულს აცლიან ტურისტებს! რაც ყაჩაღობაა დღისით, მზისით, ქალაქის ცენტრში! ზაფხულში ვიყავი ბაქოში ტურზე, სადაც ერთი მათხოვარი ან „ციგანი“ ვერ ვნახე ხუთი ტურისტული ობიექტიდან ვერც ერთზე (თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ რამდენიმე დღეა საქართველოს შსს-მ გააძლიერა მეთვალყურეობა იმ არასრულწლოვნებზე, რომლებიც ხელს უშლიან ტურისტებს).

4. ტურისტებს აყაჩაღებენ ასევე ღამის კლუბებში, აჩვენებენ ერთ მენიუს, სადაც შამპანურის ფასი არის 100 ლარი და ბოლოს გამოაქვთ მეორე, სადაც 1000 წერია, ხდება ზეწოლა და დაშინება დაცვის მიერ და იძულება თანხა გადაიხადონ! ირიბი ყაჩაღობა!

5. გავაუმჯობესეთ თუ არა სერვისი და მომსახურეობა?! პასუხი არის არა, რადგან ყველა, ვინც ავტომობილზე პლაკატს გააკრავს, ატარებს ტურებს და არ არსებობს არანაირი კონტროლის მექანიზმი!

6. უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმების მიზნით ჩამომსვლელთა რაოდენობა იზრდება და არ ხორციელდება კონტროლი, ხშირ შემთხვევაში, არ იხდიან გადასახადებს..! ჩვენ ყოველდღიურად მოწმენი ვართ, როგორ ადეპორტებენ სხვადასხვა ქვეყნებიდან საქართველოს მოქალაქეებს, თუ არ გააჩნიათ სამუშაო ვიზა და ნებართვა! რატომ არ უნდა მოვითხოვოთ წესრიგი აქ?!

7. ასევე, რესტორნებში ხშირად გამოიყენება უვარგისი პროდუქტი და არ ხორციელდება ხარისხის შესაბამისი კონტროლი, განსაკუთრებით -რეგიონებში! არის სრული ქაოსი და განუკითხაობა!

8. სახელმწიფომ მეტად უნდა გაითავისოს როლი, მთავრობის პირდაპირი მოვალეობაა, დაიცვას უცხო და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოება!

9. ასევე მიმაჩნია, რომ ტურიზმიდან შემოსული მილიარდებიდან უნდა მოხდეს ინვესტირება, ინფრასტრუქტურული პრობლემების მოსაგვარებლად და ახალი ტურისტული ობიექტების შესაქმნელად, რათა მთელი დატვირთვა არ ხდებოდეს რამდენიმე რეგიონზე და მეტად გაეწიოს სხვა მხარეებს და კუთხეებს პოპულარიზაცია! სამუშაო იმაზე მეტია, ვიდრე გვგონია!

ლევან რევაზიშვილი მხოლოდ ერთ დადებით ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას, რაც მთავრობის მიერ განხორციელდა: „მთავარი დადებითი ფაქტი, რაც განხორციელდა, არის მცირე ბიზნესისთვის გადასახადების ერთ პროცენტამდე დაყვანა. ეს ძალიან პოზიტიურია და უფრო მეტი შედეგის მომტანი იქნება როგორ კერძო სექტორისთვის, ასევე - სახელმწიფო ბიუჯეტისთვის და ქვეყნის ეკონომიკისთვის“.

ლევანის მსგავსად, ტურიზმის სექტორში არსებულ სხვადასხვა პრობლემებზე სოციალურ ქსელში ბევრი მოსაზრება გავრცელდა, რომელთაგან რამდენიმე ციტატას შემოგთავაზებთ:

ანუკი გიორგობიანი: „ჩამოთვლილიდან ყველაზე მეტად მაფიქრებს დაყაჩაღებები და უვარგისი საკვებიიი.ეს დიდი და მოუგვარებელი კატასტროფაააა.“

დავით ნასარიძე: „გეთანხმები... ბევრია სამუშაო ამ მიმართულებით ...ნაგვის ურნების დადგმა არ შველის, ურნებს იპარავენ ან მალევე ნადგურდება ...ასევე საგანგაშო თემაა ცელოფნის პარკები ან აკრძალონ ან ისეთი დაამზადონ, რაც იშლება ღია ცის ქვეშ... არასათანადო ყურადღება ექცევა სხვა სფეროებს, მედიცინას, აბანოებს, იარაღის წარმოებას, მეაბრეშუმეობას ...მარტო ღვინის ქვეყანა არ ვართ მოკლედ.

მაია ჩადუნელი: „ბაქოში იმიტომ ვერ ნახე მათხოვრები, რომ კანონი მიიღეს და ყველა მათხოვარი ქვეყნიდან გაყარეს. აბა, მიხვდი, სად ჩამოვიდნენ ეს „ციგნები“? საზღვარზე როგორ გადმოდიან პასპორტის გარეშე? აი, ესაა საკითხავი“.

დავით ნასარიძე: „მნიშვნელოვანი თემაა ისიც, რომ არაბული სამყაროდან თურქეთიდან და რუსულენოვნები ჩამოდიან ტურისტებად და მერე აქ მუშაობენ და არსად ფიქსირდებიან გადამხდელებად. შემოსული ფული უკან გადის. ეს უნდა იყოს რეგულირებადი... ტურისტი არი ტურისტი და ტურიზმში დასაქმებული არაკონურენციულ გარემოს არ უნდა ქმნიდეს როგორც „გიდი დრაივერი“ ან რესტორნის პერსონალი, თან ენაც არ იციან და რას უყვებიან ჩვენ ქვეყანაზე თავის მოქალაქეებს, კაცმა არ იცის“.

ნინაკა ხოტივრიშვილი: „ მე მაინც სახელმწიფოს მიერ აუცილებლად მოსაგვარებელ საკითხად მიმაჩნია, შემოსული 3 მილიარდიდან (რომლის შემოტანაშიც, ბევრი ჩვენთაგანის შრომა და უძილო ღამე დევს) არაა რთული, გამონახო ამ სფეროს გასავითარებლად საჭირო სახსრები, მითუმეტეს, რომ ეს "**ტურიზმია**".

ოთო ჯაფარიძე: „ტურისტული სეზონი კი იწყება, მაგრამ მე უკვე სერიოზული ეჭვი მაქვს, რამდენად უნდა სახელმწიფოს ტურიზმის განვითარება! საქმე იმაშია, რომ როგორც ხდება ცნობილი, სვანეთში და კერძოდ მესტიის ირგვლივ თითქმის ყველა მნიშვნელოვან ტურისტულ წერტილში ჰესი ან თითქმის აშენებულია ან იგეგმება!“

ნიკოლოზ ბერეკაშვილი: „სწორად აღნიშნე სახელმწიფომ — ალბათ, როდესაც გვექნება ნამდვილი სახელმწიფო, თავისი ინსტიტუტებით, მაშინ მოევლება ამ პრობლემებს. ქვეყანაში სრული ვაგხანალიაა ყველა სფეროში ხელისუფლების მხრიდან, ასე რომ, მოცდა მოგვიწევს და იმედი მაქვს, დიდხანს არა

რუსა მჭედლიშვილი: „ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ რომ შეკრიბოს ტურიზმში ჩახედული გამოცდილი ხალხი, რომლებსაც ყოველდღიური კონტაქტი აქვთ ტურისტებთან და მოისმინოს თუ რა პრობლემებს ვაწყდებით თუნდაც ჩვენ და როგორ ვცდილობთ ჩვენივე თანამოქალაქეების „მიქარულის“ გამოსწორებას? კარგი იქნებოდა. შემდეგ გამოსავალზეც და სამომავლო გეგმებზეც მარტივი იქნებოდა მსჯელობა, როცა ზუსტად იცი რომელ კუთხეს რა უჭირს და რა არის მოსაგვარებელი. ხოლო რაც შეეხება „ციგნებს“, მარტო ტურისტებს კი არა, ჩვენც გვძარცვავენ და რატომ არავინ არ იღებს ზომებს?“

ლევან რევაზიშვილის აზრით, მთავარი პრობლემა მაინც ისაა, რომ ტურიზმში არ არსებობს რამდენიმე წელზე გათვლილი სტრატეგია! რას ვაპირებთ და სად მივდივართ ხუთ ან ათ წელიწადში.

მისივე თქმით, ზემოთ აღნიშნულ ფაქტებზე მათ ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთანაც ღიად უსაუბრიათ, ყველა პრობლემაზე მიუწოდებიათ ინფორმაცია, მაგრამ, სამწუხაროდ, ტურიზმის ადმინისტრაციასაც არ აქვს შესაბამისი ბერკეტები, დამოუკიდებლად მოაგვაროს ზემოთ აღნიშნული. ყველაფერი უფრო მაღალ დონეზე უნდა გადაწყდეს...

ნატა ლუტიძე

უსაფრთხო სკოლის უზრუნველსაყოფად მანდატურის სამსახურის გაძლიერება იგეგმება

უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მთავარი პრიორიტეტია. სწორედ ამ თემას მიეძღვნა დღეს გამართული კონფერენცია, რომელიც განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა გახსნა. მინისტრმა ვრცლად ისაუბრა იმ პროექტებზე, რაც აუცილებელია სკოლებში უსაფრთხო და პოზიტიური გარემოს უზრუნველსაყოფად, რათა მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ სრულად გამოავლინონ პოტენციალი, გახდნენ აქტიური მოქალაქეები და მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის განვითარებაში.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნა ახალი ინტერაქიული ვებპორტალი „იყავი მეგობარი“, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს, მათ მშობლებს, მასწავლებლებს, ფართო საზოგადოებას მიიღონ პასუხები მათთვის საინტერესო საკითხებზე.

გაგრძელება **მე-3 გვერდზე**

PS news.ge

ISSN 1987-7056

რადგან მოგვეცი წყალი, ღმერთო, შეგვინყალე!

დედამიწაზე ღვთის წყალობით შეიქმნა ადამიანთა, ცხოველთა და მცენარეული სამყაროსათვის სასიცოცხლო გარემო: ატმოსფერო, ნიადაგი და წყალი და იმის მიხედვით, რამდენად სუფთა და ჯანსაღია თითოეული მათგანი, მით უფრო ჯანმრთელი და სიცოცხლიაუნარიანია ყოველი არსება.

ჩვენ, საქართველოში მცხოვრებლებს, ღვთის წყალობით, უხვად მოგვეცა წყალი, მაგრამ მამაზეციერის მიერ მოწყალებულ ამ წყალობას მოვლა და გაფრთხილება უნდა, რომ პირდაპირი მნიშვნელობით არ აგვიხდეს პოეტის სიტყვები - „წყალში ვდგავარ, ცეცხლი მიკიდია". წყლის სიუხვით დაჯილდოებულებს არც „დაცვა" უნდა გვემუქრებოდეს და არც დახრჩობა. არადა, ორივე საშიშროება ნამდვილად არსებობს ჩვენ ქვეყანაში, სადაც მარცვალი უკუღმა რომ გადააგდო, წაღმა ამოვა, თუ გონივრულად გამოვიყენებთ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ მონაცემებს. ამის თაობაზე საუბარია კრებულში „წყალი - ქვეყნიერების მეუფე", რომელიც შექმნა იმერეთის სოციალური პოლიტიკის სამუშაო ჯგუფმა ფონდ „ჰორიზონტთან" და „CARE International"-თან ერთად.

ამ ნაშრომით და არასამთავრობო ორგანიზაციების შეხსენებამ გარკვეული შედეგი გამოიღო და საქართველოში სწორედ ქუთაისიდან დაიწყო სახელისუფლებო შტოების ზრუნვა წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგებაზე. თუმცა იგი დღემდე მრავალი ხარვეზის შემცველია და ვერ ვიტყვით, რომ ამ მიზნით გამოყოფილი თანხები საკმაო ეფექტურობით იხარჯება.

ჩვენი დღევანდელი პუბლიკაციის მიზანია, გავაცნოთ საზოგადოებას წყალმომარაგებაში შექმნილი მდგომარეობა და კიდევ ერთხელ შევახსენოთ ხელისუფლებას, რომ გასაკეთებელი და გამოსასწორებელი ჯერ კიდევ ბევრია.

დავიწყოთ იმერეთიდან, სადაც მდგომარეობა ასეთია:

- 12 მუნიციპალიტეტიდან ცენტრალური წყალმომარაგების ქსელი აქვს ყველას;
- საკუთარი რესურსით იკვებება 11 მუნიციპალიტეტი (საკუთარი წყარო არ გააჩნია მხოლოდ სამტრედიას);
- მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება ხდება გრაფიკით და არა უწყვეტი სადღეღამისო ციკლით, უამრავი დაპირების მიუხედავად;
- წყლის მიწოდების ტექნოლოგია, სისტემა, სტრუქტურა და მეთოდიკა გაუარესებულია იმასთან შედარებით, რაც წინა საუკუნეში გვქონდა.

დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, წყლის რესურსები საერთოდ, და მათ შორის, იმერეთში საგრძნობლად დიდია. აქვე აღსანიშნავია, რომ წყალმომარაგების მესვეურებს გაწმენდისათვის თანხის დახარჯვა არ სურთ და ამიტომ ძირითადად გამოიყენება კოლხეთის დაბლობის მიწისქვეშა წყლები, ეს ქმნის გარკვეულ სირთულეებს - იზრდება ელექტროენერგიის ხარჯვაც, ძვირდება პროდუქტი, უარესდება მისი ხარისხი.

აქვე აღსანიშნავია, რომ როგორც გეოლოგიის პროფესორი, ბატონ ლევან ხარატიშვილი ახასიათებს თავის ნარკვევში „საქართველოს მტკნარი მიწისქვეშა წყლები (რესურსების ათვისება, დაცვა)", საქართველოს მიწისქვეშა წყლების რესურსების სამრეწველო მოცულობა აღემატება მის მოთხოვნილებას და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროა მისი გამოყენება. მეცნიერი ამას ასაბუთებს სპეციალური ცხრილით, რომელიც ნარკვევს ახლავს.

დღეის მდგომარეობით წყალი მომავლის პროდუქტია და მოსახლეობის ზრდასთან ერთად, იზრდება მასზე მოთხოვნილებაც და მოხმარებაც. ამდენად, წყალი სახელმწიფოებრივად წარმოადგენს სტრატეგიულ რესურს, რის გამოც იგი კონსტიტუციაში მიკუთვნებულია „განსაკუთრებულ გამგებლობას..." (თავი პირველი „ზოგადი დებულებები", მუხლი 3, პუნქტი ბ) რაც იკითხება შემდეგნაირად: „სახელმწიფოს საზღვრების სტატუსი, რეჟიმი და დაცვა; ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფის...".

ამდენად, წყლის რესურსების პატრონად გვევლინება მხოლოდ სახელმწიფო და სხვა არავინ.

საქართველოში ჩამოედინება 26 ათასამდე დიდი, საშუალო და მცირე მდინარე. მათი ჯამური სიგრძეა 59,8 ათასი კილომეტრი. მდინარეებიდან საქართველოში მოსული ნალექების სახით ზღვაში ჩაედინება 56,40 $მ^3$/წმ წყალი, რასაც ზრდის მეზობელი ქვეყნებიდან შემომატებული 8,74 $მ^3$/წ წყალი. ამდენად საქართველოს არათუ არა აქვს მტკნარი წყლის პრობლემა, არამედ მისი მოცულობა რამდენიმეჯერ აჭარბებს კიდეც სახელმწიფოში არსებულ მოთხოვნილებებს (კომუნალური, სამრეწველო, სარწყავი და სხვა).

შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა - საქართველოს წყალს ჰყავს სერიოზული პატრონი - სახელმწიფო და მისი მოცულობა საკმაოდ აჭარბებს სახელმწიფო მოთხოვნას მოხმარების მხრივ. ამდენად, წყალი გვაქვს ჭარბი რაოდენობით. ამ ბუნებრივი სიმდიდრიდან რა რაოდენობის წყალი გვჭირდება და რისთვის?

აღნიშნული საკითხის გასარკვევად მივაკითხოთ რეგულაციებს, რაც დაგვიწესა საქართველოს ენერგეტიკისა და წყლის მარეგულირებელმა კომისიამ ხალხისათვის კომუნალური ხასიათის ხარჯებისათვის. ასეთი წყლის რაოდენობა მოიცავს 60 $მ^3$ სასმელ წყალს წელიწადში, ერთ სულ მოსახლეზე. ანუ საქართველოს მოსახლეობისათვის დაგვჭირდება 225 მლნ $მ^3$ სასმელი წყალი. ეს რაოდენობა შეადგენს საქართველოდან წყლის ზღვაში ჩადინების მხოლოდ 4 წმ-ში მოცულობას. ჩვენს მიერ გათვლილი კომუნალური მოხმარების წყლის გარდა. თუ მხედველობაში მივიღებთ ყველა დანარჩენი სახის წყლის მოხმარებას, მაშინ მივხვდებით, რომ მხოლოდ ერთ წუთში მიღებული წყლის რაოდენობა საქართველოს ტერიტორიაზე საკმარისია ყველა სახის წყლით დასაკმაყოფილებლად (გარდა ჰიდროენერგეტიკისა). ასე რომ, წყლის საერთო რაოდენობა სახელმწიფოსათვის საკმარისზე მეტია, ამიტომ დარჩა მისი ეფექტური ათვისება და გონივრულად მოხმარება.

საქალაქო ანუ, როგორც მას ვუწოდებთ, ურბანული წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა, დაიწყო ქუთაისმა. იგი დაიწყო 2008 წლის მეორე ნახევარში და დასრულდა 2010 წელს, რამაც უზრუნველყო ქუთაისში 8-საათიანი წყლის მიწოდება გრაფიკით და შეამცირა წყლის დანაკარგები ქსელში, სამოცი პროცენტიდან ორმოცამდე. შეიცვალა ქსელის მილგაყვანილობა. გაუმჯობესდა მიწოდებისა და აღრიცხვის პარამეტრები. ასეთი წინსვლის მიუხედევად, საგრძნობლად ჩამორჩება შემდეგი საკითხები:

- პარტნიორული ურთიერთობა მომხმარებელთან;
- გამჭვირვალობა;
- ეფექტურობა;
- მომჭირნეობა;
- მომავლის ხედვა;
- ინოვაციური ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღება სასმელი წყლის შესახებ და სხვა.

ახლა ჩვენ გავარკვიოთ ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა მომხმარებელთან და წყლის ფაქტორთან დაკავშირებით.

უკვე ჩამოყალიბებულ განხილვაში თვალი გადავავლოთ აუცილებლობას ყოველდღიურ ცხოვრებაში და ჩვენში მისი უზრუნველყოფის შესაძლებლობებს, აგრეთვე ამ შესაძლებლობათა გამოყენებას სამთავრობო სტრუქტურების მიერ.

წყლის შესახებ ზრუნვა დაიწყო 2005 წლიდან (თანხის მოძიება, პროექტირება, შესწავლა, ანალიზი, სინთეზი, დაგეგმარება, მშენებლობა). აღმოჩნდა, რომ საქართველოში შედარებით მაღალი პასუხისმგებლობით წყლის საკითხს მოეპყრენ თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ბორჯომსა და ფოთში.

აღნიშნულ ქალაქებში დღეისათვის მეტნაკლებად მოგვარებულია წყლით უზრუნველყოფის საკითხი, თუმცა პრობლემები კვლავ ბევრია:

- წყალმომარაგების სისტემა და მისი სტრუქტურა;
- ტარიფის სიძვირე და მისი მეთოდიკის მიღება დისკუსიის საფუძველზე;
- წყლის ხარისხი და მიწოდების ხედვა; კონკრეტული გრაფიკით;
- დარგობრივი ხელმძღვანელობის უგულისყურობა, დაბალი პროფესიონალიზმი.

სამწუხაროდ, წყლის პრობლემა საქართველოში საკმაოდ მწვავედაა და მის შესახებ ზუსტი ხედვა არავის ჩამოუყალიბებია, არცე ერთი მიმართულებით, არავის გაუანალიზებია 2008-2010 წლების რეფორმა, თუ არ ჩავთვლით რამოდენიმე საკითხისადმი ჩვენს მიდგომას. ჩვენ ვთვლით, რომ სასმელი წყლით მომარაგების მესვეურები არ ითვალისწინებენ იმ ფასეულობას, რაც გვაქვს და რის შესახებაც მათ უთითებენ სასულიერო, საერო და საერთაშორისო ორგანიზაციები, გამოცდილი ხალხი და ბრძენნი. ამან მიგვიყვანა თანხების უაზრო ხარჯვამდე (ზოგჯერ კი განიავებამდე, გაფლანგვამდე), დემოკრატიის პრინციპების უარყოფამდე (დეცენტრალიზაცია), ბუნებრივი მონოპოლიის კომერციულ მონოპოლიამდე მიყვანამდე და საერთოდ ბუნებრივი პროცესების უარყოფამდე (იმის უგულვებელყოფამდე, რომ წყალი ბუნებრივად მხოლოდ ზემოდან ქვემოთ მოედინება).

ჩვენ დაინტერესებულ პირებს ვთავაზობთ არსებული მდგომარეობიდან გამოსავალს ქვემოთ მოყვანილი მეთოდებითა და საშუალებებით.

I სისტემა.

გამოვიყენოთ ბუნებრივი პროცესი და წყალი მივაწოდოთ ზემოდან ქვემოთ (და არა ისე, როგორც ქუთაისში). აღნიშნული პირობის დასაკმაყოფილებლად მოგვიწევს წყლის რესურსების ძიება განაშენიანებასთან შედარებით მაქსიმალურად მაღალი წერტილიდან თვითდინებით წყლის მისაღებად. ასეთი შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, მოითხოვს ცალკე მეურნეობას, რომელიც დაკავდება აღნიშნული საკითხით, ანუ რესურსით. ასეთ ორგანიზაციაში მოვიაზრებთ ჰიდროლოგებს, გეოლოგებს, წყლის გადამზიდავებს, რომლების უზრუნველყოფენ ურბანულ ერთეულში სასმელი წყლის შეტანას.

აღნიშნული ორგანიზაციის მიზანი იქნება: მოიძიოს და გამოიკვლიოს მონაცემები სასმელი წყლის რესურსებზე, განსაზღვროს მისი ხარისხი, შესაძლებლობა და რეჟიმი. ამით ხელთ გვექნება სასმელი წყლის საბადო, რომელსაც განვათავსებთ ურბანული დასახლების ზემოთ, მივცემთ სასმელი წყლის ხარისხს და მივაწვდით დასახლებას.

სისტემის პირველი რგოლი იქნება წყლის მოპოვება და მისი მიყვანა სასმელი წყლის კონდიციამდე. ორგანიზაციულად ის ჩამოყალიბდება სახელმწიფოს, როგორც სტრატეგიული ნედლეულის მფლობელი - მომპოვებელი ორგანიზაციის მიერ, რითაც დაკმაყოფილდება ერის, ბერისა და კონსტიტუციის მოთხოვნები.

მომდევნო ეტაპი იქნება მიღებული სასმელი წყლის ტრანსპორტირება წყაროდან ურბანული დასახლების აუზებამდე და მისი უწყვეტობის უზრუნველყოფა, რომელიც შევა კომერციული ორგანიზაციის ვალდებულებაში და მისი მფლობელობის ვინაობა არავითარ სირთულესთან არ იქნება დამოკიდებული.

II. დისტრიბუცია.

შემდეგი ეტაპი იქნება ურბანული დასახლების მუნიციპალიტეტის ვალდებულება - მიღებულ წყალს გაუწიოს სადისტრიბუციო მომსახურება. აღნიშნული საკითხი იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოვალეობა, რითაც დაკმაყოფილდება დემოკრატიის პრინციპი დარგის დეცენტრალიზაციისა და შესრულდება საქართველოს კოდექსი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ.

წარმოდგენილი სისტემა, რა თქმა უნდა, მოითხოვს კვალიფიციურ, ერთობლივ მრავალმხრივ, გულმოდგინე განხილვას, მაგრამ ის შემდგომში იძლევა საკმაოდ დიდ ეფექტს, აკმაყოფილებს დემოკრატიის მოთხოვნებს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, ხდება დარგის დეცენტრალიზაცია და დეკონცენტრაცია.

აღნიშნული სისტემის დანერგისათვის საქართველოში დღესვეა მზად იმერეთის რეგიონი, რომელიც მრავალმხრივად საინტერესო მუნიციპალიტეტებს შეიცავს. მათ შორის საჩხერის მუნიციპალიტეტს, სადაც ცენტრალიზებული წყალმოამარაგების საკითხი უკვე აყვანილია უმაღლეს რანგში.

ამ წერილში გამოთქმული წინადადების ავტორების მიზანია ხალმძღვანელობამდე მიაღწიოს ჩვენმა შეხედულებამ რათა გაიოგონ, რომ წყალს მარტო ფული არ ყოფნის და ჭირდება სხვა რაღაცაც.

პატივისცემითა და მოწიწებით,
ჩემო მკითხველო,
ასოციაცია ასა-ს თავმჯდომარე
ზაზა ხელაძე
ქუთაისი, აპრილი 2018 წელი

P.S. სტატიის სათაური გვახსენებს, რომ წყალი ღვთიურ სიტყვებთანაა დაკავშირებული, რაც საფუძველს იღებს მისი თვისებებიდან. სწორედ წყლით მოხდა განათვლა, წყლიდან წარმოიქმნება ტერმინები „შემიწყალე", „მიწყალე", „წყალობა" და სხვა, რაც ერთხელ კიდევ დამატებით შეგვახსენებს მის ზეციერობის და განსაკუთრებულ როლს.

სტატია დამუშავდა პროექტის "ქუთაისელი ამომრჩევლების შეხედულება თვითმმართველობისადმი" ფარგლებში, რომელიც სრულდება იმერეთის რეგიონის ახალგაზრდული სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაციის მიერ ფრიდრიხ ებერტის ფონდთან პარტნიორობით, რასაც დიდი მადლიერების გრძნობით აღვნიშნავთ.

უსაფრთხო სკოლის უზრუნველსაყოფად მანდატურის სამსახურის გაძლიერება იგეგმება

პირველი გვერდიდან

ასევე წარდგენილი იქნა უსაფრ-თხო სასკოლო გარემოს შექმნის მიზნით, სამინისტროს მიერ დაგეგმილი აქტივობების გეგმა. კონფერენციაზე კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა, რომ ყველა გადაწყვეტილება, რომელიც სკოლაში ან სკოლასთან დაკავშირებით მიიღება, მხოლოდ ბავშვის ინტერესებზე არის და იქნება მორგებული.

რაც შეეხება სიახლეებს - ამოქმედდა და მიმდინარეობს მოსწავლეებთან შეხვედრების ციკლი „მოვუსმინოთ მოსწავლეებს", სადაც მოზარდები სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე მინისტრთან, სამინისტროს სხვა წარმომადგენლებთან და ფსიქოლოგებთან პირისპირ საუბრობენ. ანალოგიური შეხვედრები იმართება მშობლებთან და პედაგოგებთან. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანად გაიზარდა საზოგადოების, უპირველეს ყოვლისა - მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში და მათი მონაწილეობა სასურველი გარემოს ფორმირებაში. ძალადობისა და ბულინგის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად, დანაშაულის პრევენციისათვის და მსხვერპლთა დასახმარებლად, შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები მშობლებისთვის, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის.

განსაკუთრებულ როლი ენიჭება სპეციალისტთა, პირველ რიგში, ფსიქოლოგთა მონაწილეობას როგორც კონფლიქტების პრევენციაში ადრეულ სტადიაზე ჩარევის გზით, ასევე უშუალოდ კონფლიქტების დროს. ამიტომ, გაძლიერდება და ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი იქნება ფსიქოლოგიური სერვისები. გაძლიერდება ფსიქოლოგთა როლი უშუალოდ კონფლიქტური სიტუაციების დროს. ფსიქოლოგიური ცენტრი ეცდება მართოს კონფლიქტი და თავიდან აიცილოს მისი გამწვავება.

ერთ-ერთი ახალი ინიციატივა, რომლის დახვეწაც ახლა მიმდინარეობს, არის „კრიზისული ინტერვენციის ჯგუფის" პროექტი. ფსიქოლოგთა, სოციალურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ამოცანა იქნება სკოლებში სწრაფი რეაგირების აუცილებლობისას ადგილზე შეისწავლოს მდგომარეობა, გაერკვეს საჭიროებებში და შესაბამისი კონსულტაციები გაუწიოს სკოლას და ყველა მხარეს.

სკოლებში უსაფრთხო და დაცული გარემოს შექმნის მიზნით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებათაშორისი ჯგუფის მიერ მომზადდა „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი.

პროექტის მიზანია მანდატურის სამსახურის გაძლიერება და სამართალდამცავ ორგანოებთან კოორდინირებული თანამშრომლობის ხელშეწყობა, თითოეული ბავშვის დაცვა, როგორც სკოლის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

კანონში ცვლილებათა მიხედვით:

✓ შემუშავდება სკოლებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სპეციალური წესი.

✓ შეიცვლება მანდატურის დაქვემდებარება. მას დანიშნავს და გაათავისუფლებს მანდატურის სამსახური.

გაძლიერდება ვიდეო მეთვალყურეობის სისტემა, როგორც სკოლის პერიმეტრის შიგნით, ასევე გარეთ.

✓ მანდატურის კვალიფიკაციასთან და ასაკთან დაკავშირებით შეიცვლება მოთხოვნები. სავალდებულო გახდება უმაღლესი განათლება ან ზოგადი და პროფესიული განათლება ერთად.

✓ მანდატურების მოსამზადებელი კურსი გახანგრძლივდება და გაძლიერდება. თეორიულ ცოდნასთან ერთად, კურსს დაემატება ფიზიკური მომზადებისა და პრაქტიკის კომპონენტები. თეორიული კურსის შინაარსში განვითარდება ბავშვთა ასაკობრივი კანონზომიერებების, კონფლიქტების მართვისა და მედიაციის მოდულები.

✓ მკაფიო გახდება თანამშრომლობის სქემები მანდატურებსა და სკოლის ადმინისტრაციას, მანდატურსა და პატრულს შორის.

✓ კონფლიქტური სიტუაციების დეესკალაციის მიზნით კანონში გაჩნდება უსაფრთხოების დაცვის ახალი მექანიზმი „განცალკევება". იმ შემთხვევაში თუ სკოლიდან გასვლის შემდეგ მოსწავლის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის რისკებთან დაკავშირებით გაჩნდება ეჭვი, მანდატურს უფლება ექნება მოახდინოს მოზარდის განცალკევება, მშობლის ან ოჯახის სხვა რომელიმე წევრის მოსვლამდე. ამ პერიოდში მოსწავლე ჩართული იქნება სხვადასხვა სასკოლო აქტივობაში და მას მეთვალყურეობას გაუწევს სკოლის წარმომადგენელი.

და ბოლოს, სკოლებში ძალადობის შესამცირებლად ყველაზე ეფექტიანი ბერკეტია მოზარდთა ფიზიკურიგანვითარება და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. ამიტომ, სკოლებში ფიზიკური აღზრდის გაძლიერება, მოზარდთა სპორტული და შემოქმედებითი აქტივობების წახალისება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის სრულყოფა სამინისტროს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

ამ მიზნით გაორმაგდა ბიუჯეტი სასკოლო სპორტულ ღონისძიებათა მხარდასაჭერად.

სამინისტრო ეროვნულ დონეზე ჩაატარებს სასკოლო სპორტულ ოლიმპიადას. მის საწყის ეტაპზე ჩართვა სპორტული მონაცემების მიუხედავად, ყველა მსურველს შეუძლია.

ოლიმპიადები მოიცავს მთელ საქართველოს, 1700-ზე მეტ საჯარო და კერძო სკოლას, 100 000-ზე მეტი მოსწავლეს, ხოლო ადგილობრივ ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეები საერთაშორისო სასკოლო სპორტულ შეჯიბრებებში და გიმნაზიადებში მიიღებენ მონაწილეობას.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში კრუკოვსკის პოლონურ-ქართული ინტერდისციპლინარული კვლევითი ცენტრი გაიხსნა

ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორი ნიკოლოზ ანთაძე, ქართულ-პოლონური საპარლამენტო ჯგუფის თანათავმჯდომარე მალგორზატა გოსიევსკა, საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მარიუშ მაშკიევიჩი და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

აღნიშნულთან დაკავშირებით კულტურისა და სპორტის მინისტრმა განაცხადა: „დღეს უმნიშვნელოვანესი დღეა. მიხარია, რომ ქუთაისის უნივერსიტეტში იხსნება ქართულ_პოლონური ინტერდისციპლანური კვლევითი ცენტრი, ბევრი საინტერესო, კვლევითი გეგმები აქვს ამ ცენტრს, ერთობლივი კვლევები,რომელიც შარშან დაიწყო ,ჩვენ მოგვცემს საშუალებას მომავალში განვსაზღვროთ ქუთაისის ძველი კოლხური კულტურული ლანდშაფტი,სწორედ პოლონელი ექსპერტების დახმარებით დაიწყება მუშაობა მისი უკვე იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში წარსადგენად.

მულტიდისციპლინარული კვლევითი ცენტრის გახსნის საფუძველი გახდა 2017 წლის ზაფხულში ვარშავის უნივერსიტეტსა და ეროვნულ სააგენტოს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი, რამაც ახალ საფეხურზე აიყვანა არქეოლოგიური კვლევის მიმართულებით პოლონეთის მხარესთან უკვე არსებული თანამშრომლობა. პოლონეთი პირველი ქვეყანაა, რომელიც მუდმივმოქმედი არქეოლოგიური მისიით იქნება წარმოდგენილი საქართველოში.

ცენტრს ცნობილი პოლონელი არქეოლოგის, სტეფან კრუკოვსკის სახელი მიენიჭა, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის პალეოლითის ხანის საქართველოს შესწავლაში (ჭიათურის მახლობლად, გამოქვაბულში, მან პირველმა აღმოაჩინა უძველესი ადამიანის კვალი).

კრუკოვსკის სახელობის მულტიდისციპლინარული კვლევითი ცენტრის პრიორიტეტს, ამ ეტაპზე, ქუთაისის ძველი კოლხური კულტურული ლანდშაფტის კვლევა წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც ქართულ-პოლონური არქეოლოგიური ექსპედიციის პირველადი სამუშაოები 2017 წელს დაიწყო.

აღნიშნული კვლევები საფუძველს ქმნიან მომავალ წლებში განისაზღვროს ქუთაისის ძველი კოლხური კულტურული ლანდშაფტის ზოგადსაკაცობრიო ღირებულება და პოლონელი ექსპერტების დახმარებით დაიწყოს მუშაობა მისი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში წარსადგენად.

ბოლო წლებში, პოლონეთის მხარესთან კულტურული მემკვიდრეობისა და განათლების სფეროში გააქტიურებული ურთიერთობების ფონზე, განსაკუთრებით ღრმავდება ინსტიტუციებს შორის თანამშრომლობა, რაც მეტ პერსპექტივებს და შესაძლებლობებს ქმნის საერთო მემკვიდრეობის შენარჩუნების, ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული ზრდისა და ხალხებს შორის ურთიერთობების გასაღრმავებლად.

ლიკა კაკუშაძე

„ვიაროთ ერთად"- „მიგრაციის ცენტრი"-ს ახალი პროექტი საქართველოში მყოფი უცხოელების ინტეგრაციის ხელშესაწყობად

არასამთავრობო ორგანიზაცია „მიგრაციის ცენტრ-"მა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადგილობრივ და უცხოელ სტუდენტებთან შეხვედრა გამართა . აღნიშნული ორგანიზაცია ამა წლის იანვრიდან ახორციელებს პროექტს „ვიაროთ ერთად"/ „Steptogether", რომლის მიზანია საქართველოში მყოფი უცხოელების ინტეგრაციის ხელშეწყობა.

შეხვერა ჩატარდა უცხოელთა მიმართ დამოკიდებულების განსაზღვრის, ხოლო მეორე მხრივ, უცხოელთა იტეგრაციის ხარისხის გარკვევის მიზნით. შეივსო შესაბამისი კითხვარები შემდგომი ანალიზისთვის. ასევე გაიმართა დისკუსია ინტეგრაციის სირთულეების და მათი გადალახვის გზების ძიებისათვის.

შეხვედრას უძღვებოდნენ **გიორგი გოგიშვილი** ა(ა)იპ „მიგრაციის ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი, **ნათელა მჟავანაძე** ა(ა)იპ „მიგრაციის ცენტრის" პროექტების კოორდინატორი და ნუგზარ კოხრეიძე ა(ა)იპ „მიგრაციის ცენტრის" იმერეთის რეგიონის კოორდინატორი.

„მიგრაციის ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორის, გიორგი გოგიშვილის ინფორმაციით, მათი ორგანიზაცია მიმდინარე წლის იანვრიდან ახორციელებს პროექტს „ვიაროთ ერთად/ Steptogether", რომლის მიზანია საქართველოში მყოფი უცხოელების ინტეგრაციის ხელშეწყობა. პროექტი დაფინანსებულია ფონდის "ღია საზოგადოება" მიერ.

საქართველოს ლიბერალურმა საემიგრაციო პოლიტიკამ უფრო მიმზიდველი გახადა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, ამჟამად საქართველოში ასი ათასამდეუცხო ქვეყნის მოქალაქე ცხოვრობს. თუმცა ემიგრანტებისრიცხვის მუდმივი ზრდის მიუხედავად, მათი ინტეგრაცია არ ყოფილა სახელმწიფოს პოლიტიკის პრიორიტეტი.

საქართველოს მოსახლეობის მხრიდან კი უცხოელთამიმართ სულ უფრო ნეგატიური დამოკიდებულება ყალიბდებოდა. მოსახლეობის ნაწილი ემიგრანტებს აღიქვამს,როგორც ფინანსურად ძლიერ კონკურენტებს, იმ ფონზე, როცა ქვეყნის მოსახლეობის ძირითადნაწილს საკმაოდ მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა აქვს.

გარდა ამისა, ადგილობრივები მიიჩნევენ, რომ მიგრანტები მათი განსხვავებული კულტურისა და რელიგიური კუთვნილების გამო, წარმოადგენენ საფრთხეს ქართული იდენტობისთვის. მსგავსი ჯგუფები ადვილად ექცევიან პოლიტიკოსების გავლენის ქვეშ და მონაწილეობენ ქსენოფობიურ კამპანიებში, რომელშიც აშკარად იკვეთება რასისტული და ფაშისტური იდეები.

ხშირ შემთხვევაში თვითონუცხო ქვეყნის მოქალაქეებიარ ავლენენ საკმარის ინტერესს ადგილობრივი ენის შესწავლის, ტრადიციებისა და კულტურის მიღებისადმი.ეს ყოველივე კი განსაკუთრებით შესამჩნევია აზიელდა აფრიკელ იმიგრანტებში, რაც საბოლოოდ თვითიზოლაციას იწვევს და შესაბამისად მათ არ აქვთ საშუალება სათანადოდ ისარგებლონ სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სერვისებით.

2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიასადა მის თანმდევ 2018წლის სამოქმედო გეგმაში პირველად არის გაწერილი უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ინტეგრაციის მიმართულება და ისახება კონკრეტული ამოცანები იმიგრანტთა სამოქალაქო ჩართულობისა და ინტეგრაციის შესაძლებლობების შექმნისა და გაუმჯობესებისათვის.

„მიგრაციის ცენტრის" პროექტების კოორდინატორის, ქალბატონ ნათელა მჟავანაძის აზრით, უცხოელთა სხვადასხვა ჯგუფების სიღრმისეული კვლევა და მათთან ინტენსიური ურთიერთობა იქნება წარმატებული ინტეგრაციის პოლიტიკის წინაპირობა. აღსანიშნავია, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უცხო ქვეყნის როლი ინტეგრაციის პოლიტიკის წარმართვაში.

მიგრაციის ცენტრის პროექტი — „ვიაროთ ერთად", აქცენტს აკეთებს უცხოელთა ინტეგრაციაზე და მიზნად ისახავს:

— მუშაობას უცხოელ და ადგილობრივ მოქალაქეებთან ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით;

-ინტეგრაციის პლატფორმის ჩამოყალიბებას და ეფექტური ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობას;

— უფასო და კონფიდენციალურ კონსულტაციებს სოციალურ და იურიდიულ საკითხებზე (პირდაპირი, სატელეფონო, დისტანციური კონსულტაციები);

— უცხოელთა საინიციატივო ჯგუფებისა და დიასპორული/არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობას;

— ერთობლივი კულტურული და სპორტული ღონისძიებების ორგანიზებას უცხო ქვეყნის მოქალაქეების ადაპტაცია-ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობისათვის;

— ადგილობრივებისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების ინტეგრაციის პოლიტიკის მიმართ დამოკიდებულების შესწავლა- გაანალიზებას.

პროექტს მხარს უჭერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო,მიგრაციის საკითხთა სახელმწიფო კომისია, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), უმაღლესი სასწავლებლები, საზოგადოებრივი მაუწყებელი, აჭარის ტელევიზია და რადიო, იმერეთის მედია სახლი „პოსტსკრიპტუმი", აჭარის ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი", გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი.

ეთერ ჩუმაშვილი

სომელიე მირანდა დოლაბერიძე:

„ბედნიერი ვარ, რომ იტალიური ღვინის ოსკარზე გამარჯვებული ღვინოების გამოვლენაში მეც ვმონაწილეობდი"

„Oscar del Vlno 2018" — ამ სახელწოდებით იტალიური ღვინოების მე-19 დაჯილდოება გაიმართა იტალიის დედაქალაქ რომში, HOTEL ROME CAVALIERI -ში. „ოსკარის" ორგანიზატორი გახლდათ FONDAZIONE ITALIANA SOMMELIER.

ამ იტალიური ღვინის დღესასწაულში ერთი ახალგაზრდა ქართველი სომელიე გოგონაც მონაწილეობდა - მირანდა დოლაბერიძე, რომელიც ამ პროფესიას სწორედ იტალიაში დაეუფლა და მაქსიმალურად ცდილობს, სამშობლოში დაბრუნებამდე პრაქტიკული გამოცდილებაც მიიღოს. მირანდა დღეს ჩვენი სტუმარია და მასთან ინტერვიუს გთავაზობთ.

— მირანდა, ვიცი, რომ ემოციურად დატვირთული ხარ, შეგიძლია, რომ სიტყვებით გაგვიზიარო შენი ემოცია? გვიამბო შენი შთაბეჭდილებები?

— დიდი სიამოვნებით. წელს მესამედ მქონდა ბედნიერება, რომ დავსწრებოდი იტალიური ღვინის არაჩვეულებრივ „დღესასწაულს", ოსკარის დაჯილდოების ცერემონიალს. უფრო მეტიც, მე, ერთადერთი ქართველი სომელიე გოგონა, ვმონაწილეობდი კიდეც იტალიური ღვინოების შეფასებაში. ეს ჩემი ცხოვრების ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია. ყველაზე მეტად სწორედ ჩემს თანამემამულეებს მინდა, ვუამბო ამ დღესასწაულზე განცდილი ემოციის შესახებ, რადგან უდიდესი სურვილი მაქვს, რომ ჩემს სამშობლოში, საქართველოშიც ვიხილო ღვინის ასეთი „ოსკარი". საქართველო ხომ მსოფლიომ უკვე აღიარა ვაზისა და ღვინის სამშობლოდ, თუმცა ჯერ კიდევ ბევრის სწავლა მოუწევს ევროპისგან და მათ შორის — იტალიისგან.

ღვინო მხოლოდ ალკოჰოლური მათრობელა სასმელი არ არის... რატომ? ჩვენს ეპოქაში იგი ხელოვნების და ისტორიის უდიდესი ნაწილია. ეს კიდევ ერთხელ განსაკუთრებულად ვიგრძენი „იტალიური ღვინის ოსკარზე".

— იქნებ „ღვინის ოსკარის" ცერემონიის დეტალებიც გაგვიმხილო...

— საგედუსტაციო დარბაზის ელეგანტურობის აღსაწერად სიტყვები არასდროს მყოფნის...

შევეცდები, სხვა დეტალები მოგიყვეთ: „ოსკარის" საღამოს პრეზენტატორი იყო თვით FONDAZIONE ITAIANA SOMMELIER-ს პრეზიდენტი **ფრანკო მარია რიჩი.** საღამოს გახსნილად გამოცხადების შემდეგ გაისმა საოცრად ამაღელვებელი ემოციური მუსიკა (მეგონა, გლადიატორები იწყებდნენ შემოსვლას) და სომელიეთა გუნდს წინ შემოუძღვა სომელიეების მთავარსარდალი, **უბალდო პიცინგრილი**... თითოეულ სომელიეს მარცხენა ხელში ეჭირა ამ საღამოსთვის განკუთვნილი თითო ბოთლი ღვინო.

რაც შეეხება ღვინის ნომინაციებს, იგი იყოფოდა 9 ეტაპად და თითო ნომინაციიდან წარმოდგენილი და დაგემოვნებული იყო სამ-სამი ღვინო. თითოელ ნომინაციას ჰყავდა მომხსენებელი ანუ ღვინის წარმდგენი სომელიე, რომელიც ზოგადად საუბრობდა და აცნობდა დამსწრე საზოგადოებას წარდგენილ და დასაგემოვნებლად გამზადებულ ღვინოს. კარგად რომ წარმოიდგინოთ, სომელიე ყვება კონკრეტული ღვინის ისტორიას, ეხება ვაზის ჯიშს და ტერუარის ადგილმდებარეობას.. გარდა ამისა, საუბარს აგრძელებს ბოკალში ჩამოსხმული ღვინით, ანუ ღვინის შეფასება იწყება თვალის ანალიზით — ფერის შეფასება, შემდეგ გადადის ყნოსვით შეფასებაზე და შემდეგ უკვე ხდება დაგემოვნება ანუ ღვინის ორგანოლეპტიკის შეფასება, საბოლოოდ არის დასკვნა და „აბინამენტო" — ზოგადი რჩევები, თუ რა კერძი შეიძლება, შევუხამოთ შემოთვაზებულ ღვინოს... თითოეული ამ ეტაპის მოსმენა ღვინის წარმდგენი სომელიესგან გამოგზაურებს გამოცდილებით სავსე ღვინის არა მარტო ისტორიაში, არამედ გაგრძნობინებს ღვინოს ხელოვნების დონეზე. ეს ყველაფერი კი დამგემოვნებელმა ბოკალში ჩასხმული 50 გრამი ღვინით უნდა შეაფასოს.

— ეს დაჯილდოება 19 წელია ტარდება, წელს რა სიახლეები იყო?

— გასული წლებისგან განსხვავებით, წელს Oscar del vino 2018-ზე შეფასებას ახდენდა არა მხოლოდ ჟიური, არამედ დარბაზში დამსწრე 700 კაციანი საზოგადოება (აქ შეხვდებოდით: „ოსკარზე" წარდგენილი ღვინოების მწარმოებლებს, ენოლოგებს, ცნობილ ჟურნალისტებს პრესიდან თუ ტელევიზიიდან, რესტორატორებს, რიგით სომელიეებს თუ ღვინის მოყვარულებს. მათ შორის ვიყავი მეც.

ხმის მიცემა ხდებოდა მობილურების საშუალებით, თითოეულ დამსწრეს გაჩნდა საკუთარი კოდი, რომლითაც რეგისტრირდებოდნენ www.bibenda.it საიტზე და ამგვარად აფიქსირებდნენ ღვინის თვითშეფასებას. მეამაყება, რომ ჩემს მიერ შეფასებული ღვინოებიდან ოთხმა გაიმარჯვა.

— თუ შეგიძლიათ, გაგვაცანით სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული იტალიური ღვინოები.

— დიდი სიამოვნებით. აი, სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებული ღვინოები:

ნომინაცია 1. **საუკეთესო შუშხუნა ღვინო. მომხსენებელი ლუჩიანო მალოცი**

Franciacorta Dosage Zero Noir vintage Collection 2007. Ca Del Bosco

ნომინაცია 2. **საუკეთესო თეთრი ღვინო. მომხსენებელი ჯოვანი ლაი**

Langhe Rlesllng Herzu 2014. Ettore Germano

ნომინაცია 3. **საუკეთესო ვარდისფერი ღვინო. მომხსენებელი ალესია ბორელი**

Etna Rosato Arcuria 2016. Calcagno

ნომინაცია 4. **საუკეთესო წითელი ღვინო. მომხსენებელი მასიმო ბილეტო**

Amarone della valpolicella Classico Ca Florian Riserva 2010. Tommasi

ნომინაცია 5. **საუკეთესო ტკბილი ღვინო. მომხსენებელი დანიელე მაესტრი**

A.A. Mosacato Giallo Passito Baronesse Baron Salvadori 2014. Nails Margreid

ნომინაცია 6. **საუკეთესო ღვინის საუკეთესო მწარმოებელი. მომხსენებელი პაოლო ლაუჩანი**

Sagrantino di Montefalco 25 Anni 2013. Arnaldo Caprai

ნომინაცია 7. **საუკეთესო ღვინო ხარისხის და ფასის გათვალისწინებით. მომხსენებელი ჯულიანო ლემე**

vermentlno di Toscana Belvente 2016. Petra

ნომინაცია 8. **საუკეთესო მომავლის ღვინო (რომლებიც ახალია, მაგრამ ხარისხით არ ჩამოუვარდება ისტორიულ და წარმატებულ ღვინოებს)**

Brunello di Montalcino Paesaggio inatteso 2012. Camigliano

ნომინაცია 9. **საუკეთესო პრემია ჟიურისგან**

Cervaro della Sala 2011. Castello della Sala.

Bolgheri Sassicaia 2014. Tenuta San Guido

Masseto 2014. Ornellala e Masseto

Brunello di Montalcino Riserva 2011. Biondi Santi

მე-9 ნომინაციაში იტალიის საუკეთესო ღვინოები იყო წარმოდგენილი, ამიტომ ჟიურის გადაწყვეტილებით, ოთხივე ნომინანტი ღვინო დაჯილდოვდა „ოსკარით", საკუთარ მწარმოებლებთან ერთად.

ღვინოების გარდა, დასახელდა საუკეთესო ენოლოგის, საუკეთესო ღვინის ჟურნალისტის და საუკეთესო ღვინის მარკეტინგ-მენეჯერის ნომინაციებიც.

აღსანიშნავია, რომ წლის საუკეთესო იტალიური ღვინოების ოსკარი/დეგუსტაცია 6 საათი გრძელდებოდა, მასში მონაწილეობას იღებდა 50 სომელიე, წარმოდგენილი იყო ღვინის 28 ეტიკეტი, ღვინის ბოთლების განლაგება დაყოფილი იყო 4 ძირითად დახლად და თითო დახლს ჰქონდა 28 ეტიკეტის 10-10 ბოთლი ღვინო. ანუ საერთოდ ღვინოების რაოდენობა 1200 ბოთლს შეადგენდა.

„იტალიური ღვინის ოსკარი"-ს საღამომ ძალიან საინტერესოდ ჩაიარა. წლიდან წლამდე ესე დაუღალავად მუშაობენ იტალიელი სომელიეები და არა მარტო ისინი, სიახლეების ძიებაში... ამიტომ საზოგადოებისგან შეუმჩნეველი არ რჩებიან და მათგანაც დიდ პატივისცემას, თანადგომას იღებენ.

მე თამამად შემიძლია ვთქვა, ღვინო, როგორც ხელოვნების ნიმუში,- კონკრეტულად ამ იტალიურმა ორგანიზაციამ FONDAZIONE ITALIANA SOMMELIER-მა, მისმა კოლექტივმა და ეხლა უკვე ჩემმა კოლეგებმა შემაყვარეს. ვერასოდეს წარმომედგინა, ცოტაოდენი ღვინის დაგემოვნებით თუ შეიძლებოდა, ყოფილიყავი ბედნიერი, კმაყოფილი და პროფესიულად გაზრდილი.

— დიდი მადლობა, მირანდა, საინტერესო საუბრისათვის. წარმატებებს გისურვებთ და გელოდებით სამშობლოში.

ნატო გუბელაძე

რატომ მიენიჭა ჭიათურაში გამყრელიძეების სახლს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი

ჭიათურის მუნიციპალიტეტის, სოფ. ზოდში მდებარე გამყრელიძეების სახლს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

სახლი ორსართულიანია, გვიანი გადაკეთებებით. ეზოს მხრიდან ერთი სართულია, რომლის ფასადი შუშაბანდია, ხის ჩუქურთმებით გაფორმებული. მთავარი შესასვლელი ეზოს მხრიდანაა.

სახლს არქიტექტურული ღირებული არ არის, მას კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით მხოლოდ მემორიალური მნიშვნელობა აქვს. მასთან დაკავშირებულია რამდენიმე გამოჩენილი ადამიანის სახელი: სახლი ააშენა აზნაურმა კაცია მალხაზის ძე გამყრელიძემ (1864-1945).

სახლი სავარაუდოდ აშენებულია მე-19 საუკუნის 90-იან წლებში. კაცია გამყრელიძის ვაჟი მიხეილ გამყრელიძე (1885-1961) იყო ჭიათურის მანგანუმის შავი ქვის მრწეველთა სააქციონერო საზოგადოების ნამდვილი წევრი. ამავე სახლში დაიბადა გრიგოლ (გიორგი) გამყრელიძე (1903-1974), რომელიც წერდა გრიგოლ ზოდელის ფსევდონიმით. იყო ცისფერყანწელთა თანამოაზრე. 1922 წლიდან ემიგრაციაშია, სადაც 1975 წელს გარდაიცვალა კიდეც. იყო არაერთი ლიტერატურული თარგმანის ავტორი.

მიხეილ გამყრელიძეს და მის მეუღლეს, მარიამ ღოღობერიძეს გარდა გრიგოლისა ყავდათ სამი ქალიშვილი: თინა, რომლის მეუღლეც იყო ცნობილი მწერალი და ბელეტრისტი აკაკი ბელიაშვილი, რომელიც ასევე ხშირად სტუმრობდა ზოდის სახლს; მარიამი (მერი) და ქეთევანი, რომლის ქალიშვილიც, დალი ლოლუა იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მეუღლე. შესაბამისად, ზოდის სახლს ხშირად სტუმრობდნენ კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიები, ასევე ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა.

P.S.

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე ● **დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი ● **მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის №37ᵃ ● (0 431) 24-45-46. ● psnews27@gmail.com ● www.psnews.ge

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

Q ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე.

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი"). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401 გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი: **UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054) პ - 658 P - 86**